შინაგან დაავადებათა N 3 დეპარტამენტი

ემერიტუსი დავით გორდელაძე

პროფესორი თამარი ყანდაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ნარსია

ასოცირებული პროფესორი მამუკა ლორთქიფანიძე

ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ მახარაძე

შინაგან დაავადებათა N 3 დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი მარინა ნონიაშვილი

ასისტენტ-პროფესორი ხათუნა ციციაშვილი

ასისტენტ-პროფესორი მაია გოცაძე

ასისტენტ-პროფესორი ლია მინდიაშვილი

ასისტენტ-პროფესორი ქეთევან კოხრეიძე

შინაგან დაავადებათა N 3 დეპარტამენტი

შინაგან დაავადებათა # 3 დეპარტამენტის ისტორია იწყება 1921 წელს ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის დაარსებით (გამგე პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე).
სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრას 1972-1988 წლებში ხელმძღვანელობდა პროფესორი კონსტანტინე ვირსალაძე, 1988-2000 წლამდე პროფესორი დავით ტვილდიანი.
1985 წელს კათედრას ეწოდა სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის # 1 კათედრა, 1997 წელს კი შინაგან სნეულებათა # 1 კათედრა.
2000 წელს ჩამოყალიბდა თერაპიის დეპარტამენტი შინაგან სნეულებათა # 1 კათედრასთან შემდეგი კათედრების გაერთიანებით: შინაგან სნეულებათა # 2, კათედრა, გამგე პროფესორი ნუგზარ ტატიშვილი; პოლიკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრა, გამგე პროფესორი ნოდარ ბაქრაძე და კლინიკური ფარმაკოლოგიის კურსი, ხელმძღვანელი დოცენტი არჩილ კობალაძე, ამ კათედრების თანამშრომელთა შორის ერთიანი კონკურსის ჩატარების შედეგად. გაერთიანებული შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი ნუგზარ ტატიშვილი.
2004 წელს კათედრის გამგედ არჩეული იქნა პროფესორი გიორგი ქავთარაძე.
2006 წელს კათედრას მიეცა სინდრომული დიაგნოსტიკის მიმართულება და გადაკეთდა თერაპიის დეპარტამენტად.
2015 წელს სინდრომული დიაგნოსტიკის მიმართულებას ეწოდა შინაგან დაავადებათა # 3 დეპარტამენტი და ცალკე გამოეყო გერიატრიის დეპარტამენტი, ხელმძღვანელი პროფესორი გაიანე სიმონია.
2015 წელს შინაგან დაავადებათა # 3 დეპარტამენტის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა პროფესორი დავით გორდელაძე.
2021 წელს შინაგან დაავადებათა #3 დეპარტამენტის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მედიცინის დოქტორი თამარ ყანდაშვილი.
თითოეულ წინამორბედ შემადგენელ კათედრაზე წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი პროფესორ-მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ გეგეჭკორი, ვასილ ანდღულაძე, მემნონ კანდელაკი, ანეტა ჟღენტი, რუსუდან ღამბაშიძე, ბაადურ რაჭველიშვილი, ბონდო კანდელაკი, გურამ კიკნაძე და სხვა მრავალი ცნობილი თერაპევტი.

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული კლინიკურ, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. მათი მონაწილეობით შეიქმნა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას:
“შინაგანი სნეულებები” (2000 წ., რედ. ნ.ტატიშვილი, გ.სიმონია),
“დიაგნოსტიკური ძიებები შინაგან დაავადებათა კლინიკაში – სიმპტომიდან დიაგნოზამდე” (2009 წ., რედ. გ.ქავთარაძე),
„ კლინიკური გერიატრია“ (2001 წ., გ.სიმონია და ი.ანდრონიკაშვილი),
„კლინიკური გერიატრიის საფუძვლები“ (2014 წ., გ.სიმონია და ი.ანდრონიკაშვილი), გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოცემებში. მათი ავტორობით შექმნილია კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლები) სხვადასხვა ნოზოლოგიისა და პათოლოგიური მდგომარეობისათვის (2015-2020წელი).

დეპარტამენტების თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, ექიმთა სახელმწიფო - სასერტიფიკაციო დარგობრივი კომისიისა და საკვალიფიკაციო სახელმწიფო გამოცდების კომისიების შემადგენლობაში, არიან სარეზიდენტო პროგრამების ავტორები და ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტები შინაგან სნეულებებსა და სხვა სპეციალობებში.

შინაგან დაავადებათა N 3 დეპარტამენტი

მიღებული აქვთ არაერთი სამეცნიერო გრანტი;
მათი ხელმძღვანელობით შესრულებულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

დეპარტამენტმა უნივერსიტეტის ისტორიაში 2015 წლიდან პირველად განახორციელა სტუდენტების ჯგუფების როტაცია სასწავლო ბაზებზე და უზრუნველყო ყველა სტუდენტის კლინიკური სწავლება პაციენტთან დამოუკიდებელი მუშაობით.

დეპარტამენტმა პირველმა ჩაატარა სასწავლო პროცესი ინტეგრირებული სილაბუსით, რომლის შექმნაში თვითონვე მიიღო აქტიური მონაწილეობა.
2015 წლიდან დეპარტამენტი წარმართავს სასწავლო პროცესს ინტეგრირებული სილაბუსის „შინაგანი დაავადებათა მართვა და გერიატრიის საფუძვლები“ მიხედვით, რაც პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო უნივერსიტეტის კურიკულუმების ინტეგრირების პროცესში მათი მოდერნიზაციის მიზნით, ხოლო 2018 წლიდან განხორციელდა სასწავლო სილაბუსის ინტეგრაცია ასევე კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტთან.
2018 წელს დეპარტამენტმა პირველად ჩაატარა და ყოველწლიურად წარმატებით ატარებს დამამთავრებელი მეექვსე კურსის ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტთან ერთად მის ბაზაზე.
2021 წელს ემერიტუს პროფესორის დავით გორდელაძის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით დაწესდა ღვაწლმოსილი ექიმის ოთარ გვანცელაძისა და ემერიტუს პროფესორის დავით გორდელაძის სახელობითი სტიპენდიები მეექვსე კურსის წარჩინებული სტუდენტებისათვის შინაგანი მედიცინის დარგში.

თანამშრომლები:
შინაგან დაავადებათა N3 დეპარტამენტის ემერიტუსი დავით გორდელაძე - კლინიკური აქტივობის სფერო - შინაგანი მედიცინა.

შინაგან დაავადებათა N3 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თამარ ყანდაშვილი -კლინიკური აქტივობის სფერო: შინაგანი მედიცინა, გასტროენტეროლოგია;

ასოცირებული პროფესორები:
ნუგზარ ნარსია - კლინიკური აქტივობის სფერო: შინაგანი მედიცინა, კარდიოლოგია;
მამუკა ლორთქიფანიძე - კლინიკური აქტივობის სფერო: შინაგანი მედიცინა, რევმატოლოგია; თეიმურაზ მახარაძე - კლინიკური აქტივობის სფერო - კარდიოლოგია.

ასისტენტ-პროფესორები:
ხათუნა ციციაშვილი - კლინიკური აქტივობის სფერო - შინაგანი მედიცინა;
ლია მინდიაშვილი - კლინიკური აქტივობის სფერო: შინაგანი მედიცინა, პულმონოლოგია; მარინა ნონიაშვილი - კლინიკური აქტივობის სფერო: შინაგანი მედიცინა, კარდიოლოგია; ქეთევან კოხრეიძე - კლინიკური აქტივობის სფერო - კარდიოლოგია.
ლაბორანტი: მარინა ბაღნაშვილი, მაია გოცაძე.